საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შედეგად მიღებული კანონი ნარჩენების მართვის შესახებ

რუსუდან ჩერქეზიშვილი
ბაკალავრიატი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

მიზანი - საქართველოს კანონი ნარჩენების მართვის კოდექსი ვრცელდება ნებისმიერი სახის ნარჩენზე, სამთო გადამუშავებისა და რადიოაქტიული ნარჩენების გარდა. ამ კოდექსის მიზანია ნარჩენების მართვის სფეროში სამართლებრივი საფუძვლების შექმნა ისეთი ღონისძიებების განხორციელებისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობენ ნარჩენების პრევენციას და მათი ხელახალი გამოყენების ზრდას, ნარჩენების გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავებას (რაც მოიცავს რეციკლირებას და მეორადი ნედლეულის გამოცალკევებას, ნარჩენებიდან ენერგიის აღდგენას, ნარჩენების უსაფრთხო განთავსებას). კოდექსის ამოცანაა გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა ა) ნარჩენების წარმოქმნის და მათი უარყოფითი გავლენის პრევენციით ან შემცირებით; ბ) ნარჩენების მართვის ეფექტიანი მექანიზმების შექმნით; გ) რესურსების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირებით და რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენებით.

სიახლე/ღირებულება - რეციკლირება ისეთი აღდგენითი ღონისძიებაა, რომლის საშუალებითაც ნარჩენი ისეთ პროდუქტად გარდაიქმნება, რომელიც განკუთვნილია თავდაპირველი დანიშნულებით ან სხვა მიზნით გამოყენებისთვის. რეციკლირება მოიცავს ორგანული მასალების გადამუშავებას, მაგრამ არ მოიცავს ენერგიის აღდგენას და მათ ისეთ მასალებად გარდაქმნას, რომლებიც საწვავად ან ამოვსების ოპერაციებისთვის გამოიყენება.

დასკვნა - საქართველოში ნარჩენების მართვის სისტემის გავითარება ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რადგან რეციკლირების ობიექტი მოითხოვს დიდ ადამიანურ რესურსს. მნიშვნელოვანი საკითხია ტექნოლოგიური ცვლილება, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას გამოიწვევს. აღსანიშნავია მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების აქტიური მონაწილეობა, რაც უკეთეს შედეგს მისცემს ქვეყანას. რაც მეტი ინფორმაცია ექნება საზოგადოებას, მეტად იზრუნებს გარემოზე და ნაკლებ ზიანს მიაყენებს მას. ცნობიერების ამაღლების კამპანიები ნარჩენების მართვის სისტემის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. რაც ყველაზე მთავარია სუფთა საცოვრებელი და დასასვენებელი გარემო ხელს შეუწყობს ტურიზმის უკეთ განვითარებას ქვეყანაში.